პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 240
(7551)

17
1983 წ.
დეკემბერი.
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან



ბაკურიანი ემზადება

წლევანდელი სეზონი ბაკურიანისათვის ცვლავინდებურად გადატვირთული იქნება. იგი ოლიმპიურ წელსაც მიიღებს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურე-მორბენლებს, ორჭიდელებს, ბიატლონისტებს. თეთრი ოლიმპიადისათვის ისინი ტრადიციულად აქ მოემზადებიან.

რა ხდება დღეს ბაკურიანში, როგორ ეგებება „თეთრი მარგალიტი" კარზე მომდგარ ზამთრის სპორტულ სეზონს, როგორ გაუმასპინძლდება დასჯვენით ერთთვიან შეკრებაზე ჩამოსულ სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებს?

— ის ფაქტი, რომ ზამთრის ოლიმპიადებზე საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების უმრავლესობა სწორედ ბაკურიანიდან მიემგზავრება, დიდი პატივია ჩვენთვის და დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს, — გვეუბნება **ბაკურიანის სპორტკომბინატის** დირექტორი, სპორტის ოსტატი გ. სანაკოევი. — ასე იყო საბჭოთა სპორტსმენებისათვის ზამთრის პირველი ოლიმპიადიდან — 1956 წლის კორტინა დ' ამპეცოდან დაწყებული 1980 წლამდე. ასეა დღესაც, როდესაც ჩვენმა საუკეთესო მოთხილამურეებმა საბჭოთა სპორტის ღირსება ზამთრის XIV ოლიმპიადაზე იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში უნდა დაიცვან. მათ წარმატებას სარაევოს ტრასებზე ბევრად განაპირობებს ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე ნაყოფიერი ვარჯიში. ჩვენი ბაზა ამჯერად ორჭიდელებს უმასპინძლებს. როგორ შევხვდებით მათ? მზადებას დროულად შევუდექით. გაკეთდა კაპიტალური რემონტი, მოვაწყეთ ე. წ. სანიტარული კვანძი, სპორტსმენები შეუფერხებლად იქნებიან უზრუნველყოფილი ცხელი წყლითა და ცენტრალური გათბობით. გამოვყავით სპეციალური ოთახი სათხილამურო ტანსაცმლის გასაშრობად. განახლდა რადიოკვანძი და დასასვენებელი ოთახი, უმჯობესდება კვების ბლოკის (უფროსი მზარეული გ. ტაბატაძე) მუშაობა. მზადაა 40 და 70-მეტრიანი ტრამპლინები. რაც შეეხება ბაკურიანის დიდ, 90-მეტრიან ტრამპლინს, იგი, სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში არ იმოქმედებს, რადგან მისი შეკეთება მეწყერის გამო, დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამჟამად ჩვენს ბაზაზე შეიკრიბნენ საქართველოს ნაკრები გუნდები ჭიდაობის 4 სახეობაში, ორიოდე დღის წინათ კი შემოგვეგებნენ თბილისის „დინამოს" კალათბურთელები, რომლებიც აქ ორ კვირას დაჰყოფენ. რაც შეეხება სამთო-სათხილამურო ტრასებს და საბაგირო გზებს, ისინი სეზონის ოფიციალური გახსნის დღეს 25 დეკემბერს, სრულ მზადყოფნაში იქნებიან. სულ მალე მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი 1762,5-მეტრიანი საბაგირო გზა — „ტატრაპომა", რომელსაც ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები ამონტაჟებენ.

ერთდროულად 200 კაცს მიიღებს **ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტურისტული ბაზა** (დირექტორი ს. ვართანიანი), რომელიც უკვე კარგა ხანია მზადაა ზამთრის ახალი სეზონისათვის— საცხოვრებელი ოთახები და საკვები ბლოკი, საუნა. ბაზაზე დღეს შეკრებას გადიან სპორტსაზოგადოება „ტრუდის" სამთო-მოთხილამურეები, ორჭიდელები, ტრამპლინიდან მხტომელები.

— მზადებისა და დასვენების პირობებით კმაყოფილი ვართ,— გვეუბნება სამთომოთხილამურეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ს. გალკინა, — ეგაა, რომ ჯერჯერობით თოვლი არ გვანებივრებს.

„ბურევესტნიკის" სათხილამურო ბაზა 170-მდე სპორტსმენს მიიღებს ერთდროულად.

— 30 დეკემბერს ჩვენ პირველ დამსვენებლებს ველით, — ამბობს ბაზის დირექტორი ბ. მიქაბერიძე. — საქართველოს განათლების სამინისტროს პროფკავშირების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის წარმომადგენლები აქ ორ კვირამდე დაჰყოფენ.

პანსიონატი „ბაკურიანი" (დირექტორი ა. მიქაბერიძე), რომელიც 160 ადგილზეა გათვალისწინებული, უკვე ერთი კვირაა მასპინძლობს დამსვენებელთა დიდ ჯგუფს. აქ დროულად ჩატარდა მიმდინარე რემონტი, ძირფესვიანად გარდაიქმნა ინტერიერი, მოგვარდა ცხელი წყლის, გათბობისა და კვების საკითხები.

8 თებერვალს ახალგაზრდა ხელოვანთ გაუღებს კარს **საერთაშორისო ბანაკი „მზიური ველი"** (დირექტორი ო. ბერაძე). აქ გაიმართება შემოქმედებითი ახალგაზრდობის სიმპოზიუმი. ბაზა 200 კაცისთვისაა განსაზღვრული. ოთახები საკმაო კომფორტით გამოირჩევიან, მთელი შენობა თანამედროვე სტილითაა გადაწყვეტილი.

კაპიტალური რემონტი გაუკეთდა **ბაკურიანის ტურბაზასაც** (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. წაქაძე). აქ ძირითადად 2 და 3-ადგილიანი ნომრებია, რომლებიც სულ 240 კაცს იტევს. დამსვენებლები ბაზაში ორკვირიანი საგზურებით ჩამოდიან. მათთვის გამოყოფილია 8 ინსტრუქტორი, რომლებიც თხილამურებზე სიარულს შეასწავლიან მსურველთ. შეძენილია ახალი სათხილამურო ინვენტარი. ამჟამად აქ მიმდინარეობს ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა, გაკეთდება კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

სოხუმის ფიზიკის ტექნიკური ინსტიტუტის ბაზა „დიოსკურია" (დირექტორი ნ. ჩხეიძე) 160-ადგილიანია. იგი ძირითადად მზადაა ზამთრის სეზონისათვის და მალე პირველ დამსვენებლებს მიიღებს.

— რეკონსტრუქცია აგვისტოში დაიწყო — გვეუბნება **ბაზა „მშენებლის"** დირექტორი, სპორტის ოსტატი ი. ჯანგობეგოვი, —ასე რომ, ამ სეზონში დამსვენებლებს ვერ მივიღებთ, გაისად კი ბევრ სიახლეს შევთავაზებთ, გვექნება მარტივი ტიპის საცურაო აუზიც.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო ბაზა (დირექტორი ნ. კოზანაშვილი), სადაც მხოლოდ 30 ადგილია, მეტად სავალალო მდგომარეობაშია. აქ არც თბილი წყალი აქვთ, საშხაპეებსა და სხვა კომფორტზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ერთი სიტყვით, ბაზა მეტ ყურადღებას საჭიროებს.

„შრომითი რეზერვების" ბაზის მშენებლობა, სამწუხაროდ, კვლავ კუს ნაბიჯებით მიიწევს წინ, ხოლო ბაზა **„გეოლოგი"** (დირექტორი — სპორტის ოსტატი ო. ხვედელიძე), რომელიც 400 ადგილს ითვლის, ამ სეზონშიც არ იმუშავებს, რეკონსტრუქციის სამუშაოების გამო.

კაპიტალური რემონტის შეჩერების გამო, როგორც ჩანს, ამ სეზონში ვერც 240-ადგილიანი **სასტუმრო „ბაკურიანი"** მიიღებს სტუმრებს.

დიდ მზადებაშია **სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი** — გვეუბნება ცენტრის დირექტორი, სპორტის ოსტატი ი. ოგანეზოვი, —

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათებზე: ბაკურიანის „მზიური ველი" (ზემოთ); ტურისტული ბაზა.

ნ. ქარელის ფოტოები.

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

•

6:4, 6:4

ლონდონის ორივე მატჩში საბჭოთა მოჭადრაკეები ვ. სმისლოვი და გ. კასპაროვი ერთნაირი ანგარიშით — 6:4 ლიდერობენ. თითოეულს, ორ დარჩენილ შეხვედრაში, მატჩის მოსაგებად მხოლოდ ნახევარი ქულის მოგროვება სჭირდება.

კასპაროვ — კორჩნოის მატჩის მეათე პარტია, რომელიც 14 დეკემბერს შედგა, უაღრესად რთულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. დებიუტიდან ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიიღო უპირატესობა და პოზიციური თამაში გაჩაღდა. კასპაროვი აქტიური მოქმედების დაწყებას არ ჩქარობდა. მაგრამ, როცა 29-ე სვლაზე კორჩნოიმ ცენტრი გახსნა და კასპაროვმა პაიკი შესწირა, ფიცხელი ბრძოლა დაიწყო. სწრაფად გაიცვალა თითქმის ყველა ფიგურა და კორჩნოიმ, რაკი მოგებაზე თამაშისთვის უპირატესობა არ ჰქონდა, მეტოქეს ყაიმი შესთავაზა.

აი, ეს პარტია:

კორჩნოი — კასპაროვი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. მf3 მf6 4. კg5 კe7 5. მc3 h6 6. კh4 0—0 7. e3 b6 8. ლb3 კb7 9. კ×f6 კ×f6 10. c×d5 e×d5 11. ეd1 ეe8 12. a3 c6 13. კd3 მd7 14. 0—0 g6 15. ეfe1 მf8 16. კb1 მe6 17. კa2 ლc7 18. ლa4 ეad8 19. b4 ლb8 20. ლc2 ლc7 21. კb3 კg7 22. ლa2 a6 23. ეc1 ლb8 24. მa4 ლa7 25. მc3 ლb8 26. ეb1 ლd6 27. ეbd1 a5 28. b×a5 b×a5 29. e4 a4 30. კ×a4 d×e4 31. მ×e4 ლf4 32. d5 მd4 33. მ×d4 ე×e4 34. კ×c6 კ×d4 35. ე×e4 ლ×e4 36. კ×b7 ეb8 37. ლb1 ლf4 38. d6 ლ×d6 39. g3 ე×b7 40. ლ×b7 კ×f2+ 41. მფ×f2 ლ×d1 42. ლa8+. ყაიმი.

ასევე დაძაბულად წარიმართა 15 დეკემბერს სმისლოვ — რიბლის მატჩის მეათე პარტიაც. პარტიის მსვლელობა:

რიბლი — სმისლოვი

რეტის დებიუტი

1. მf3 მf6 2. g3 d5 3. კg2 g6 4. c4 c6 5. b3 კg7 6. კb2 0—0 7. 0—0 კg4 8. d4 მe4 9. მe5 კe6 10. f3 მd6 11. c×d5 c×d5 12. მc3 მd7 13. f4 მf6 14. ლd2 მe4 15. მ×e4 მ×e4 16. ლb4 ლd6 17. ლa4 ეfc8 18. ეac1 ლb6 19. e3 a6 20. ეfe1 ლb5 21. ლ×b5 a×b5 22. ე×c8+ ე×c8 23. ეc1 ე×c1+ 24. კ×c1 კf5 25. კa3 f6 26. მd3 e6 27. კf1 მc3 28. მc1 კb1 29. მფf2 მ×a2 30. კ×b5 მ×c1. ყაიმი.

გუშინ ლონდონში უნდა გამართულიყო კასპაროვ — კორჩნოის მატჩის მეთერთმეტე პარტია. დღეს თავიანთ მეთერთმეტე პარტიას გაითამაშებენ სმისლოვი და რიბლი.

დღეს

თბილისის სპორტის
სასახლეში გაიმართება
საქართველოს
აბსოლუტური
პირველობა
ქართულ ჭიდაობაში

დასაწყისი 17 საათზე.



ბაკურიანი ემზადება

დასასრული

ბაზა 150 სპორტსმენისთვისაა გათვალისწინებული, წელს ვუმასპინძლებთ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ გუნდებს — მორბენლებს, ბიატლონისტებს, ორჭიდელებს, სპორტსმენები 2 იანვარს ჩამოვლენ ბაკურიანში და თებერვლის პირველ რიცხვებამდე დარჩებიან. აქ გაივლიან თეთრი ოლიმპიადისათვის უკანასკნელ და ძირითად მოსამზადებელ ეტაპს. სარბენი ტრასები მოვამზადეთ სარაევოს ტრასების სქემების მიხედვით, შევაკეთეთ ბიატლონის სასროლეთი. კულტმასობრივი გართობის მხრივაც სიახლეა — უახლოეს დღეებში მწყობრში ჩადგება დასასვენებელი ოთახი, სადაც გაიმართება სხვადასხვა შეხვედრები, კონცერტები, დისკოთეკა და ა. შ.

კარგახანია მიმდინარეობს **სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სათხილამურო ბაზის** მშენებლობა. თუმცა ახლა იგი გაცილებით სწრაფად მიიწევს წინ. უკვე ამოიყვანეს პირველი სართული, მშენებლები აგრძელებენ მუშაობას.

— ბაზის დამთავრება 1985 წლის მესამე კვარტალისთვისაა გათვალისწინებული, — გვეუბნება მშენებელი ოსტატი ვ. ზერეკიძე, — ხელს გვიშლის ის, რომ სამშენ მასალას ყოველთვის დროულად ვერ გვაწვდიან.

დავუმატებთ, რომ დინამოელთა ბაზას, რომელიც ბაკურიანის ცენტრშია, 2-2-ადგილიანი ნომრები ექნება — სულ 150 ადგილი.

მომავალი წლის 2–10 იანვარს ბაკურიანში გაიმართება ნორჩ ჰოკეისტთა ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი „ოქროს შაიბის“ კლუბის პრიზზე. ამ საინტერესო ღონისძიებაში კონკურსგარეშე გამოვა ცსკა–ს ახალგაზრდა ჰოკეისტთა გუნდი. ბაკურიანში ელოდებიან საპატიო სტუმრებს: სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ა. ტარასოვს („ოქროს შაიბის“ კლუბის პრეზიდენტი) და ა. ფირსოვს. სამწუხაროდ, **ჰოკეის მოედანი ჯერჯერობით** მოუწყობელია, შესაკეთებელია მოაჯირი, საჭიროა ელექტროგანათება, მოედნის ასფალტირება, წყლის გაყვანა, გასახდელის მოწყობა და ა. შ. ვფიქრობთ, რომ რაიონის კომკავშირის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას მიაქცევს ზემოდჩამოთვლილი სამუშაოების დროულად შესრულებას.

ბაკურიანის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში ახლა ცხარე დღეებია. მიმდინარე კაპიტალური რემონტი ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისათვის უნდა დამთავრდეს.

— ათიოდე დღე დაგვრჩა, — გვეუბნება კომბინატის დირექტორი დ. ყორომშვილი. — ვცდილობთ ყველაფერი მოვასწროთ. ჩვენთან წლეულს ერთი სიახლეა — სპეციალური ავტობუსით ტრასებზე მივიტანთ სპორტულ ინვენტარს (თხილამურებს, ციგებს და სხვა) და ადგილზევე მივაქირავებთ მსურველთ.

მუშაობაში მეტი მოქნილობა მართებს მოახლოვებული ზამთრის სეზონის წინ **ბაკურიანის სპორტმაღაზია „კოხტაგორას“** (დირექტორი ჯ. მელიქიძე). აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით აწყვია საბავშვო ციგები, თხილამურები და სარბენი თხილამურები. საჭირო ზომის სამთო თხილამურები მოზრდილთათვის კი (დაახლოებით 1,50-დან 2 მეტრამდე) არ გააჩნიათ. საკმაოდ შეზღუდულია სათხილამურო ფორმის ასორტიმენტიც.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ბაკურიანის სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. მიქაბერიძემ გვითხრა, გადაწყდა წლების მანძილზე მომწიფებული საკითხი — ახალი წლიდან დაბის ტერიტორიაზე წრიული მარშრუტით ივლის სპეციალური ავტობუსი, რომელიც, ცხადია, დიდად შეუწყობს ხელს მიმოსვლას.

ო. ნოზაძე.
(„ლელოს“ სპეც. კორ.)
ბაკურიანი.

• • •

სურათებზე: ზემოთ—„დინამოს“ სათხილამურო ბაზის მშენებლობაზე; ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები „ტატრაპომას“ ახალ საბაგიროსთან; ქვემოთ — „შრომითი რეზერვების“ ბაზა ახალ სეზონსაც ასე ხვდება.

ნ. ქარელის ფოტოები.
(„ლელოს“ კორ.).

სეზონი კარზეა მომდგარი

ზამთრის ახალი სეზონი — 1984 წლის „თეთრი ოლიმპიადის“ ხანაცაა. სარაევოს მომავალ დიდ ბატალიებში მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების საკმაოდ სოლიდური ნაწილი მზადების უკანასკნელ, ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდს ბაკურიანში გაივლის. ამის შესახებ ლაპარაკი იყო ზამთრის სპორტის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციის მორიგ სხდომაზე, რომელიც ამას წინათ ბაკურიანში გაიმართა.

— დიდი პასუხისმგებლობის წინაშე ვდგევართ საბჭოთა სპორტის, ზამთრის სახეობების მოყვარულთა წინაშე — ხაზი გაუსვა რესპუბლიკის სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გურგენიძემ — ჩვენს მზადებაზე, ჩვენს ენერგიასა და მეცადინეობაზე (ლაპარაკია თითოეულ რგოლზე, მის თითოეულ წევრზე) ბევრადაა დამოკიდებული საბჭოთა ოლიმპიელების გამოსვლა სარაევოში.

ახალი სეზონისთვის მზადყოფნაზე ილაპარაკეს ბაზების ხელმძღვანელებმა — გ. სანაკოევმა (საქსპორტკომიტეტის სათხილამურო ბაზა), ი. ოგანეზოვმა (სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი), სამაშველო სამსახურის უფროსმა დ. დანგაძემ, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების უფროსმა მწვრთნელებმა — გ. ჯიჭოევმა (სამთო-სათხილამურო სპორტი), ი. პრიამორუკოვმა (სათხილამურო რბოლა), მ. გავამ (ტრამპლინიდან ხტომა), ბ. ქუმარიტაშვილმა (ორჭიდი), საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგემ ფ. ნავერიანმა, რესპუბლიკის მსაჯთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ნოსკოვმა, საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის სახეობათა განყოფილების მთავარმა მწვრთნელმა ვ. თიბილოვმა, ბაკურიანის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ბ. გავამ, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ზამთრის სახეობათა განყოფილების ინსტრუქტორმა ზ. ჯანიაშვილმა და სხვებმა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა ი. გურგენიძემ, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად ილაპარაკა ინსტრუქტორების მომზადების (რომლებიც ბავშვებს — ჩვენი სპორტის ყველაზე დიდ რეზერვს — შეასწავლიან თხილამურებზე სიარულს), ცნობილი სპორტსმენების თითოეულ ნაკრებზე მიმაგრების, აგრეთვე ზამთრის სეზონის საუკეთესო სპორტსმენთა დადგენის შესახებ.

ო. ოთარაშვილი.

კვიცი გვარზე ხტის...

დამთავრდა მოსწავლე მოფარიკავეთა რესპუბლიკური საშემოდგომო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ 1967 წელს და შემდეგ დაბადებული სპორტსმენები. სარბიელზე იყვნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, ზესტაფონის, რუსთავის, ტყიბულისა და წყალტუბოს წარმომადგენლები — სულ 200-ზე მეტი სპორტსმენი. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში რესპუბლიკურ შეჯიბრებებში არ გამოსულან სამხრეთ ოსეთის მოფარიკავეები, რაც იმას მოწმობს, რომ იქ სპორტის ამ სახეობაში მუშაობა ჩაშლილია. შეჯიბრების ძირითადი მიზანი იყო 1984 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გამოსასვლელ კანდიდატთა შერჩევა. ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელებს და კანდიდატებს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ მომავალი სპარტაკიადისთვის მოსამზადებლად.

რაპირისტ ვაჟთა შორის გაიმარჯვა ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის ვაჟმა ნიკოლოზმა (მწვრთნელი მ. გაბუნია), რომელმაც ფინალურ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით (10:9) სძლია ქუთაისელ გ. მეგრელს. მესამე ადგილზეა აჭარის წარმომადგენელი ი. თედეევი.

ხმლით მოფარიკავეთა გამოსვლებში თავი ისახელა ასათიანის უფროსმა ვაჟმა ნუგზარმა (მწვრთნელი კ. ქუთათელაძე), რომელმაც ფინალში დაამარცხა კ. მახარაძე, მესამე იყო ქუთაისელი ბ. დოლაბერიძე.

გოგონათა შორის ყველას აჯობა თბილისელმა ქ. ბაჩეჩილაძემ (მწვრთნელი თ. დარასელია), რომელმაც ფინალში დაამარცხა ქუთაისელი ნ. თაბუნიძე, მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი რ. გალუაშვილი.

დაშნით ფარიკაობაში თბილისელები საპრიზო ადგილების მიღმა აღმოჩდნენ. გაიმარჯვა ქუთაისელმა მ. ძნელაძემ (მწვრთნელი ს. ბოგვერაძე), მეორე ადგილზეა ზესტაფონელი ზ. ტალახაძე, ხოლო მესამეზე—ქუთაისელი კ. ბალანჩივაძე.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველობა თბილისელმა და ქუთაისელმა მოფარიკავეებმა გაიყვეს. რაპირისტ ვაჟთა და ხმლით მოფარიკავეთა შორის უძლიერესნი იყვნენ თბილისელები, ხოლო რაპირისტ გოგონათა და დაშნით მოფარიკავეთა შეჯიბრებაში ქუთაისელებმა იმარჯვეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობას კვლავ თბილისისა და ქუთაისის გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ ყველაფერი შეჯიბრების ბოლო დღეს, დაშნით მოფარიკავეთა შეხვედრაში გადაწყდა. ქუთაისელებმა ანგარიშით 5:0 გაიმარჯვეს და საერთო გუნდური პირველობაც ხელთ იგდეს. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის გუნდი კარგად მომზადებულა ამ შეჯიბრებისთვის. ქუთაისის განათლების განყოფილების ფარიკაობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის დირექტორი თ. ოყროშიძე, მწვრთნელები თ. კეზევაძე, ს. ბოგვერაძე, დ. ბუხაიძე მართლაც რომ ქებას იმსახურებენ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს დაშნით და რაპირით მოფარიკავეთა ტექნიკური მომზადების დაბალი დონე. სწორედ ამიტომ, ბრძოლების უმეტესობა ტაქტიკური ჩანაფიქრის თვალსაზრისით ღარიბი და სუსტი იყო.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და მსაჯობაც სათანადოდ წარიმართა.

ო. დიდებულიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი.

სპორტული სიმწიფის კარიბჭესთან

●

საიმედო პერსპექტივა

ამბობენ, ტალანტი არ დაიმალებაო. ჭეშმარიტად. პ. ჰელიძის სპორტული ბიოგრაფიის პირველი ფურცლები ახლა იწერება. რა თქმა უნდა, ჯერ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, როგორ წარიმართება დღევანდელი იუნიორის სპორტული კარიერა, მაგრამ პირველი ნაბიჯების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პერსპექტივა საიმედოა. კარგი ფიზიკური მონაცემები, შრომისმოყვარეობა, ჭიდაობის დიდი სიყვარული... პაატას ნაცნობ-მეგობრებს, მის მწვრთნელს სჯერათ, რომ ასეთმა მონდომებამ, პასუხისმგებლობამ, სპორტისადმი ერთგულებამ არ შეიძლება ნაყოფი არ გამოიღოს.

...მისი გვარი უკვე რამდენიმეჯერ გამოჩნდა გაზეთებში. სულ რაღაც წელიწადნახევარში ათზე მეტ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებაზე იასპარეზა და საპრიზო ადგილს მიღმა არასოდეს დარჩენილა. ეს წარმატებები პაატამ ძიუდოსა და სამბოში მოიპოვა, პირველი გატაცება კი კალათბურთი იყო. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კალათბურთის სექციაში ვარჯიშობდა. ამავე სპორტსაზოგადოების ნორჩ ძიუდოისტთა მწვრთნელს გ. ხაჩიძეს მოეწონა მაღალი, ჩაზსკვნილი ყმაწვილი და — „გადაიბირა“. მალე აღმოჩნდა, რომ არც მწვრთნელი შემცდარა და არც მისი მოწაფე — ორი თვის შემდეგ პ. ჰელიძე თბილისის ჩემპიონი გახდა იუნიორ ძიუდოისტთა შორის, მალე სამბისტთა საქალაქო შეჯიბრებაც მოიგო... მას შემდეგ მას არც ერთი ვარჯიში არ გაუცდენია. შარშან გაიმარჯვა რესპუბლიკის მოსწავლეთა პირად შეჯიბრებაში, მოსწავლეთა XXXII რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონიც გახდა.

საკავშირო სარბიელზე პირველად წლეულს გავიდა, ბარანოვიჩში, სამბისტთა საკავშირო ტურნირში II ადგილი დაიკავა, ახლახანს კი ლვოვში, 1967-68 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა მძიმე წონაში.

ეს გამარჯვებები შემთხვევით არ მოსულა. მწვრთნელი და შეგირდი გულმოდგინედ ამუშავებენ თითოეულ ილეთს, თითოეულ მოძრაობას, ტექნიკასთან ერთად კი, ცხადია, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებასაც ყურადღებას აქცევენ. მთავარი მაინც ის არის, რომ პაატას ძალიან უყვარს ჭიდაობა, განსაკუთრებით ძიუდო და ჩემპიონობაზე ოცნებობს.

მანამდე დიდი გზაა გასავლელი, რომელსაც საიმედოდ ადგას თბილისის 140-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

შეიძლება ვინმემ ნაადრევ ქებად ჩაგვითვალოს ზემოთქმული, შეიძლება გვითხრან, რა აუცილებელია 16 წლის ყმაწვილს საჯაროდ დითირამბები ვუძღვნათო, მაგრამ პაატა ჰელიძემ უკვე დაიმსახურა კეთილი სიტყვა, გვინდა ეს სტრიქონები მომავალ გამარჯვებათა მეკვლედ იქცეს მისთვის. სწორედ ამ სურვილმა დაგვაწერინა ეს წერილი.

ლ. კარგელაშვილი.

• • •

სურათზე: პ. ჰელიძე.

სსრ კავშირის თასი-84

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით სსრ კავშირის თასის 1984 წლის პირველი ოფიციალური მატჩები გაიმართება 18 თებერვალს. ამ დღეს I ლიგის გუნდები, აგრეთვე, II ლიგის ზონებში გამარჯვებულები ჩაატარებენ ოცდამეთორმეტედფინალის მატჩებს.

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის შემდგომ ეტაპზე ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის გუნდები, მატჩები გაიმართება 22 თებერვალს შემდგომი, მერვედფინალის შეხვედრები — 26 თებერვალს.

2-3 მარტს შედგება მეოთხედფინალური შეხვედრები, ხოლო 6 ივნისს — ნახევარფინალები.

სსრ კავშირის 1984 წლის თასის ფინალური მატჩი გაიმართება 24 ივნისს.

მოგვყავს თასის პირველი ეტაპის შეხვედრათა განრიგი საქართველოს გუნდებისთვის: **ბათუმის დინამოელები სტუმრად ეთამაშებიან სიმფეროპოლის „ტავრიას", ლანჩხუთის „გურია" შინ ღებულობს რიგის „დაუგავას", ხოლო ქუთაისის „ტორპედო" — ლიპეცკის „მეტალურგს".**

თბილისის დინამოელთა მეტოქე იქნება კიევის არმიელთა გუნდსა და ალმა-ათის „ქაირათს" შორის გამარჯვებული. თუ გაიმარჯვებს კიეველებმა, ისინი თავიანთ მინდორზე მიიღებენ დინამოელებს, ხოლო თუ წარმატება წილად ხვდა „ქაირათს", იგი სათამაშოდ ჩამოვა თბილისში.

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება დაიწყება 8 აპრილს, ხოლო უმაღლესი ლიგის გუნდების ჩემპიონატი —10 მარტს.

დინამოელები შეიკრიბნენ

არდადეგები გაუთავდათ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებს. თბილისის დინამოელებს შვებულების შემდეგ გუშინ პირველი კრება ჰქონდათ. გუნდის წევრები გაივლიან საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებას, ხოლო 19 დეკემბერს შეუდგებიან პრაქტიკულ წვრთნას.

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, თვის დასასრულს პირველი შეკრება ექნებათ I ლიგის გუნდებს — ქუთაისის „ტორპედოს", ლანჩხუთის „გურიას" და ბათუმის „დინამოს". სამივე გუნდი 5 იანვრიდან იწყებს პრაქტიკულ მეცადინეობას.

გაიმარჯვეს ზოოტექნიკოსებმა

15 **დეკემბერს** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თასის გათამაშების ფინალური მატჩი საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის.

გაიმარჯვეს ზოოტექნიკოსებმა 3:1 და დაეუფლნენ საპატიო თასს (მწვრთნელი ე. გუგუშვილი).

სურათებზე: ზევით — ფინალური მატჩის მომენტი; უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური თასის მფლობელი — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის გუნდი.

ზ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი—83 ფეხბურთი - 83

როგორ ჩატარდება ფინალი?

ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის შედეგები და დებულება იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდება რეგიონალური საკვალიფიკაციო შეჯიბრებები ევროპაში, სამხრეთ ამერიკაში, აზიაში, აფრიკაში, კონკაკაფ-ში და ოკეანეში. შემდეგ მოვიდა ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართება XIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი მექსიკის სტადიონებზე.

ფინალის 24 მონაწილე განაწილდება 6 ჯგუფად, 4-4 თითოეულში. წრიული სისტემით შეხვედრების შედეგად 2-2 გამარჯვებული ყოველი ჯგუფიდან, აგრეთვე, კიდევ 4 საუკეთესო გუნდი მათი რიცხვიდან, ვინც III ადგილებს დაიკავებს ჯგუფებში, გავლენ მეორე ეტაპზე. შემდგომში ბრძოლა გაგრძელდება სათასო წესით. როგორც გახსოვთ, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ეტაპიც წრიული სისტემით მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა ამ ეტაპზე გამოთიშვითი სისტემა აირჩიეს, ვინაიდან ორგანიზატორთა აზრით, ეს გამორიცხავს წინასწარი შეთანხმებით მატჩების შედეგს (როგორც ეს მოხდა 1982 წელს ავსტრიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის).

6 წინასწარ ჯგუფში 2-2 გამარჯვებული გამოვლინდება საყოველთაოდ მიღებული წესით (12 გუნდი), დანარჩენი 4 საუკეთესო გუნდის გამოვლენა ამ 6 ჯგუფიდან მოხდება მათი რიცხვიდან, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში პირველ ეტაპზე დაიკავებენ III ადგილებს. ამ გუნდების გამოვლენისათვის მხედველობაში მიიღებენ დაგროვილ ქულათა მეტ რაოდენობას, შემდეგ — გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობას, შემდეგ — გატანილი ბურთების მეტ რიცხვს და თუ ყველა ეს სამი მაჩვენებელი ერთნაირი იქნა, საკითხს გადაწყვეტს წილისყრა.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის II ეტაპზე ბრძოლას გააგრძელებს 16 გუნდი. თვით გათამაშება გასტანს 1986 წლის 31 მაისიდან 29 ივნისამდე, სულ ჩატარდება 52 მატჩი.

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა სხვა გადაწყვეტილებებიც მიიღო: შესვენება ტაიმებს შორის გასტანს ზუსტად 15 წუთს, ყოველი ქვეყნის ნაკრების 20 წევრს უფლება ექნება იმყოფებოდეს სათადარიგოთა სკამზე, რაც უწინ აკრძალული იყო.

უძლიერესია სოკრატესი

ამერიკის კონტინენტის 1983 წლის საუკეთესო ფეხბურთელად სპორტულ ჟურნალისტთა ყოველწლიური რეფერენდუმის შედეგად დაასახელეს ბრაზილიის ნაკრებისა და „კორინტიანსის" კაპიტანი სოკრატესი.

კონკურსი წლეულს მოეწყო მეცამეტედ, მასში მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის 18 ქვეყნის ჟურნალისტები. მეორე ადგილზე გავიდა ცნობილი არგენტინელი მეკარე ფილოლი, რომელიც ახლა რიოდე-ჟანეიროს „ფლამენგოში" გამოდის, ხოლო მესამეზე — ბრაზილიელი ედერი („ატლეტიკო მინეირო").

როგორც საკდესის კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელები, როგორც წესი, ევროპის პროფესიულ კლუბებში გადადიან. ასე, მაგალითად, არგენტინელი მარადონა, 1978 და 1980 წლების ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი, გადაიბირა ესპანეთის „ბარსელონამ", ხოლო 1981 და 1982 წლების ლაურეატმა, ბრაზილიელმა ზიკომ იტალიის „უდინეზესთან" მოაწერა ხელი კონტრაქტს.

ეტყობა, სოკრატესი არ აპირებს მისდიოს ამ ტრადიციას. მან განაცხადა, რომ ნამდვილ სიამოვნებას ბრაზილიურ კლუბებში თამაშით ღებულობს.

III ჯგუფი

დამთავრდა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი გათამაშება III ჯგუფში. ფინალის საგზური, როგორც ცნობილია, აქამდე მოიპოვა დანიის ნაკრებმა, ბოლო მატჩში კი თამაშობდნენ საბერძნეთისა და ლუქსემბურგის ფეხბურთელები. თუ ბერძნები გაიმარჯვებდნენ, ისინი ქულით უსწრებდნენ უნგრეთის ნაკრებს და, ამდენად, თამაშს მათთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. რაც შეეხება სტუმრებს, ლუქსემბურგელებს, მათ შესარჩევ ტურნირში ვერც ერთი ქულა ვერ აიღეს და როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრებულიყო შეხვედრა, ისინი ბოლო ადგილზე რჩებოდნენ; ბერძნებმა უკეთ ითამაშეს და სარავაკოსის მიერ მე-19 წუთზე გატანილი გოლის მეოხებით გაიმარჯვეს კიდეც — 1:0.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დანია	8	6	1	1	17—5	13
ინგლისი	8	5	2	1	23—3	12
საბერძნეთი	8	3	2	3	8—10	8
უნგრეთი	8	3	1	4	18—17	7
ლუქსემბურგი	8	0	0	8	5—36	0

ევროპის ჩემპიონატი

IV ჯგუფი

ევროპის ჩემპიონატის მეტად მნიშვნელოვანი მატჩი შედგა კარდიფში, სადაც უელსის ფეხბურთელებმა მიიღეს იუგოსლავიის ნაკრები. მასპინძლები წარმატების შემთხვევაში პირველ ადგილს ინაღდებდნენ ჯგუფში და მასთან ერთად — ფინალის საგზურსაც, ამავე დროს იუგოსლავიელებს ფრეც ხელს აძლევდა იმ თვალსაზრისით, რომ დარჩენილი მატჩის მოგების შემთხვევაში ბულგარეთის ნაკრებთან, რომელიც 21 დეკემბერს უნდა გაიმართოს იუგოსლავიაში, ისინი ევროპის ჩემპიონატის ფინალისტები ხდებოდნენ.

ანგარიში 53-ე წუთზე გახსნა უელსელმა რ. ჯეიმსმა, მაგრამ მე-80 წუთზე ბაზდარევიჩმა საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1.

უელსი	6	2	3	1	7—6	7
იუგოსლავია	5	2	2	1	9—9	6
ბულგარეთი	5	2	1	2	5—5	5
ნორვეგია	6	1	2	3	7—8	4

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

თამაშობენ მინსკელთა მეტოქეები

მინსკის დინამოელთა მეტოქემ ევროპის ჩემპიონთა თასის ევროპულ საკლუბო გათამაშებაში — ბუქარესტის „დინამომ" რუმინეთის ეროვნული ჩემპიონატის მორიგ მატჩში ანგარიშით 3:1 დაამარცხა „ბიხორი".

ჩემპიონატში ლიდერობს „სტიაუა", რომელსაც 16 ტურის შემდეგ 22 ქულა აქვს. ბუქარესტის „დინამო" 21 ქულით II ადგილზეა, მაგრამ მას მხოლოდ 14 თამაში აქვს ჩატარებული.

ქალთა ფეხბურთი ევროპაში

ამ რამდენიმე ხნის წინ გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს ევროპის პირველობის გათამაშება ფეხბურთში ქალთა შორის, გამოქვეყნდა რამდენიმე თამაშის შედეგიც.

მაგრამ ინფორმაცია ფეხბურთელ ქალთა ევროპული ჩემპიონატის მსვლელობის შესახებ შემდგომში შეწყდა.

ახლა უცხოეთის საფეხბურთო პრესაში კვლავ ალაპარაკდნენ ქალთა ფეხბურთზე. იტყობინებიან, რომ წინასწარი ჯგუფებიდან ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს შვეციამ (1 ჯგუფი), ინგლისმა (II ჯგუფი), და იტალიამ (III ჯგუფი). გამოსავლინებელი დარჩა მხოლოდ ნახევარფინალის მეოთხე მონაწილე IV ჯგუფიდან, სადაც გამარჯვების ერთნაირი შანსები აქვთ ბელგიის, დანიის, ჰოლანდიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს.

ლაურეატთა დაჯილდოება

ამას წინათ პარიზში გაიმართა საზეიმო ცერემონიალი, სადაც სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს ევროპის ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირები და უძლიერესი საფეხბურთო კლუბები.

ევროპის ჩემპიონატების საუკეთესო სნაიპერის „ოქროს ბუცი" გადაეცა 26 წლის პორტუგალიელ თავდამსხმელს ფ. გომეშს, რომელმაც 1982-83 წლების ეროვნულ ჩემპიონატში „პორტოს" შემადგენლობაში 29 მატჩში 36 ბურთი გაიტანა. „ვერცხლის ბუცი" გადაეცა ჰოლანდიის „ფეიენოორდის" ფეხბურთელს პ. ჰოუტმანს (30 ბურთი) და „ბრინჯაოს ბუცი" — ბერძენ თავდამსხმელს მ. ანასტოპულოსს — „ოლიმპიაკოსი" (29 ბურთი).

საპატიო პრიზები გადასცა ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა ფ. ბეკენბაუერმა. პრიზები, როგორც ცნობილია, დაწესებულია საფრანგეთის გაზეთ „ფრანს ფუტბოლისა" და გფრ-ის სპორტული ფირმა „ადიდასის" მიერ.

ამავე ცერემონიალზე ოქროს პრიზით დააჯილდოვეს ევროპის საუკეთესო კლუბი — შოტლანდიის „აბერდინი", რომელმაც 1983 წელს მოიგო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი და შემდეგ — შოტლანდიის თასიც. ამას გარდა, ეს კლუბი წლეულს გავიდა თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში. ვერცხლის პრიზით დაჯილდოვდა დასავლეთ გერმანიის „ჰამბურგი", ხოლო ბრინჯაოს ჯილდოთი აღინიშნა 3 კლუბი: „ანდერლეჰტი" (ბელგია), „იუვენტუსი" (იტალია) და „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი).

სურათზე: ფ. გომეში „ოქროს ბუცით".

ფეხბურთი—83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი-83 ფეხბურთი—83 ფეხბურთი - 83

● ჭადრაკი

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

●

ალექსანდრია— ლევიტინა

მეთოთხმეტე პარტია

როგორც ვიუწყებოდით, ნ. ალექსანდრიამ წააგო მეთოთხმეტე პარტია და მატჩიც (6,5:7,5). პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში თამაშის უფლება ი. ლევიტინამ მოიპოვა.

ამ შეხვედრას ყველა ინტერესით მოელოდა. ალექსანდრია, რომელიც ამ მატჩში თეთრებით წარმატებას აღწევდა (+3—1), მაგრამ მეთოთხმეტე პარტიაში დებიუტში უპირატესობა ვერ მიიღო. მეტოქეებმა რამდენიმე სადებიუტო სისტემის იდეა ჩააქსოვეს თამაშში. ბოლოს პოზიცია ესპანური პარტიის ღია ვარიანტს დაემგვანა, იმ განსხვავებით, რომ დაფაზე აღარ იყო თეთრი უჯრის კუ.

დიდოსტატები მეტისმეტად ღელავდნენ, რამაც დაღი დაასვა თამაშს. ხშირად ხორცს ვერ ასხამდნენ ჩანაფიქრს. მაგალითად, მე-12 სვლაზე ალექსანდრიას პაიკით უნდა აეყვანა კუ, ანდა, რა საჭირო იყო მხედრების გაცვლა 21-ე სვლაზე. ჭეშმარიტად ძნელია გადამწყვეტი პარტიის თამაში.

ბრძოლამ კულმინაციას სწორედ მაშინ მიაღწია, როცა ორივე მოჭადრაკე უმძაფრეს ცაიტნოტში მოექცა. აქ მართლაც შეუძლებელი იყო სწორი გაგრძელების მიგნება, ცივი გონებით თამაში.

აი, როგორი დაძაბული, მაგრამ ალექსანდრიასთვის სასარგებლო პოზიცია შეიქმნა ლევიტინას 29-ე სვლის შემდეგ:

ლევიტინა



ალექსანდრია

ამ მომენტში დიდოსტატებს ორ-რიოდე წუთი ჰქონდათ დარჩენილი საკონტროლო სვლამდე. პოზიცია კი გადამწყვეტ და, რაც მთავარია, დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. ალექსანდრიაც იერიშს იწყებს, მაგრამ არაზუსტად მიჰყავს იგი. ურიგო როდი იქნებოდა 30. e6. 31. ლg3-ის შემდეგაც გაძნელდებოდა თეთრების მუქარის უვნებელყოფა.

ჩანს, ცაიტნოტში მღელვარებამ უფრო ალექსანდრია აიყოლია, რადგან მისი დასკვნითი სვლები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მან ჯერ ეტლი დაჰკარგა, მერე კი მისი მეფე დაშამათებული აღმოჩნდა. აი, ასე მოულოდნელად შეტრიალდა ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიის და მთელი მატჩის ბედი.

ალექსანდრია — ლევიტინა

ინდური დაცვა

1. d4 მf6 2. მf3 c5 3. d5 d6 4. მc3 e6 5. d×e6 კ×e6 6. e4 კe7 7. კb5+ კd7 8. a4 0—0 9. 0—0 მc6 10. h3 მb4 11. ეe1 კ×b5 12. მ×b5 a6 13. მc3 d5 14. e5 მe8 15. მe2 d4 16. მf4 მc7 17. c3 მc6 18. c×d4 c×d4 19. ლb3 ლd7 20. კd2 მe6 21. მ×e6 ლ×e6 22. ლd3 ეad8 23. ეad1 ეd5 24. კf4 ეfd8 25. ეe4 ლg6 26. ეde1 a5 27. ლb3 კb4 28. კd2 კ×d2 29. მ×d2 მb4 30. f4 ლc6 31. მc4 d3 32. მd6 d2 33. ეd1 ე5×d6 34 ე×b4 ეd3 35. ე×d2 ე×d2 36. ე×b7 ლ×g2 ++.

ა. ებრალიძის დაბადების 75 წლის თავის გამო.

ღვაწლმოსილი მოჭადრაკე

„**ჭადრაკი** უკიდეგანო სამყაროა. აქამდე ადამიანის გონება მთლიანად ვერ ჩაწვდა მის სიღრმეს. ალბათ კიდევ საუკუნეები დასჭირდება მისი საიდუმლოების ამოხსნას. ჩვენც ჭეშმარიტების ძიებაში ვართ, ამიტომ თუ თავი მოჭადრაკედ მიგაჩნია, ბევრს უნდა თამაშობდე და აანალიზებდე“, — ასე მარიგებდა ჭკუას ახალბედა მოჭადრაკეს ა. ებრალიძე ამ ორმოციოდე წლის წინათ. ალბათ ამიტომაც თავდავიწყებით, ფანატიკურად უყვარდა ჭადრაკი და წიგნი. სწორედ ეს ორი რამ შეადგენდა მისი ცხოვრების შინაარსს.

არჩილ ებრალიძე (21. III. 1908 — 15 VIII. 1960), როცა ჭადრაკს ეზიარა, მოსწავლე იყო. მაშინვე მოხიბლა მამა-პაპათა ბრძნულმა თამაშმა. როგორც თავად ამბობდა, შეძრა ხის ფიგურების ურთიერთობამ და თამაშში ჩაქსოვილმა აზრმა. ფოთში, სადაც იგი დაიბადა, ცნობილი საზოგადო მოღვაწის სილოვან ებრალიძის მრავალშვილიან ოჯახში, არჩილს არ ჰყავდა ძლიერი მეტოქეები, კმაყოფილდებოდა მხოლოდ წიგნებში ამოკითხულით, მაშინ არც ფიქრობდა მთელი სიცოცხლე ჭადრაკისთვის მიეძღვნა.

იგი მრავალმხრივ ნიჭიერი ყმაწვილი იყო. უყვარდა ზუსტი მეცნიერება (მათემატიკა, ფიზიკა), ხიბლავდა ქვაში კვეთაც. ამიტომ იყო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიას რომ მიაშურა. 1924-1926 წლებში იგი პირველი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის კლასში სწავლობდა, 1926-1928 წლებში კი მოსკოვში გააგრძელა სწავლა, მაგრამ ჭადრაკი, მისი სულიერი ცხოვრების მასაზრდოებელი წყარო, არასოდეს მიუტოვებია.

1925 წლიდან, ტაშკენტიდან ახალგაზრდა ვ. გოგლიძის ჩამოსვლის შემდეგ, თბილისში საინტერესო საჭადრაკო მოძრაობა დაიწყო. გახშირდა ტურნირები, შეხვედრები. მოჭადრაკეთა პაექრობაში სტუდენტი არჩილ ებრალიძეც ჩაება. 1927 წელს მან მონაწილეობა მიიღო თბილისის ჩემპიონატში (VI ადგილი). 1928 წელს, როგორც პერსპექტიული მოჭადრაკე, დაუშვეს საქართველოს I ჩემპიონატში, სადაც III ადგილი დაიკავა. იმავე წელს ამიერკავკასიის I ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა (VIII ადგილი).

ამ დროიდან მოყოლებული, არჩილ ებრალიძე სისტემატურად მონაწილეობს თბილისში გამართულ თითქმის ყველა თვალსაჩინო ტურნირში. ამ შეჯიბრებებში მან მდიდარი გამოცდილება და ცოდნა შეიძინა. დაუღალავმა მუშაობამ საკუთარი ოსტატობის ასამაღლებლად, მალე გამოიღო სასურველი შედეგი.

1934 წლიდან ნიჭიერი მოჭადრაკე დიდ წარმატებებს აღწევს — 1934, 1935 და 1937 წლებში იგი თბილისის ჩემპიონი გახდა, ამიერკავკასიის 1935 წლის ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა; საქართველოს II (1938) და III (1939) პირველობებში ჩემპიონობა მოიპოვა. 1937 წელს სსრ კავშირის X ჩემპიონატშიც მონაწილეობდა.

ამ წლებში არჩილ ებრალიძე ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტშიც სწავლობდა. 1935 წელს მან წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი და ჰიდრო-ინჟინრის დიპლომი მიიღო. სხვადასხვა დროს სპეციალობითაც მუშაობდა. ყველგან მაღალი კვალიფიკაციის ინჟინრის სახელი მოიპოვა.

ა. ებრალიძის საჭადრაკო ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს IV (1941) ჩემპიონატს, რომელიც დიდი სამამულო ომის წინ ჩატარდა. ამ შეჯიბრებაში ყველა უძლიერესი ქართველი მოჭადრაკე (მათ შორის ვ. გოგლიძეც) მონაწილეობდა. კონკურსგარეშე თამაშობდნენ ცნობილი ოსტატები ვ. მაკოგანოვი (ბაქო), პ. კასპარიანი (ერევანი) და ვ. მიკენასი (ლიტვა). არჩილმა დაუმარცხებლად დაიკავა I ადგილი და ქართველთაგან მეორემ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიიღო. ეს იყო ნიჭის, დიდი გარჯის და მონდომების გამარჯვება.

ძნელბედობის, მრისხანე ომის წლებმა ა. ებრალიძესაც ბევრი დააკლო, მაგრამ ტურნირებში გამოსვლას მაინც განაგრძობდა. 1946 წელს მეოთხედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. სხვათა შორის, ამ ჩემპიონატში დიდოსტატი პ. კერესიც მონაწილეობდა. მან ყველა შეხვედრა მოიგო, მხოლოდ ებრალიძესა და ტ. პეტროსიანს დაუზავდა. ებრალიძესთან ეტლების ენდშპილი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ კერესმა შემდეგ ამ თემაზე შესანიშნავი ეტიუდი შეთხზა. 1948 წელს არჩილ ებრალიძემ III ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჩემპიონატში.

ღვაწლმოსილი ოსტატი 50-იან წლებშიც, თითქმის გარდაცვალებამდე მონაწილეობდა თბილისის და საქართველოს პირველობებში, საკავშირო ტურნირებში, მაგრამ ნაადრევად ჯანგატეხილი წარმატებებს ველარ აღწევდა.

გთავაზობთ ორ „მოკლემეტრაჟიან“ პარტიას ა. ებრალიძის მდიდარი მემკვიდრეობიდან.

ფრანგული დაცვა

ებრალიძე — მარტიროსოვი

თბილისის 1928 წ. პირველობა

1.e4 e6 2. d4 d5 3. e5 c5 4. მf3 მc6 5. d×c5 კ×c5 6. კd3 მge7 7. კf4 მg6 8. კg3 კd7 9. 0—0 0—0 10. მbd2 a6 11. მb3 კa7? 12. h4 ეc8 13. h5 მge7 14. კh4 f5 15. h6 g×h6 16. ლd2 ლe8 17. კf6 ლg6? 18. მh4 ლf7 19. ლ×h6 კe8 20. კe2 მg6 21. კh5 მce7 22. მd2 f4 23. მdf3 მf5 24. მ×f5 e×f5 25. მh4! ლc7 26. კ×g6 ე×f6 27. e×f6 კ×g6 28. მ×g6 h×g6 29. ლ×g6+ მფf8 30. ეae1. შავები დანებდნენ.

ხლავური დაცვა

ებრალიძე — დმიტრიევი

სსრ კავშირის მე-18 ჩემპიონატის ნახევარფინალი 1949 წ., ლვოვი

1. d4 d5 2. c4 c6 3. c×d5 c×d5 4. მf3 მf6 5. მc3 e6 6. კf4 მbd7 7. e3 ლb6? 8. კd3 კb4 9. 0—0 კ×c3 10. b×c3 0—0 11. მd2! ლc6 12. c4 d×c4 13. მ×c4 b5 14. მd6 a6 15. ეc1 ლb6 16. ლf3 მd5 17. კg3 კb7 18. მ×b7 ლ×b7 19. ეc7! ლ×c7 20. კ×c7 მ×c7 21. ლc6! შავები დანებდნენ.

დიდ ტურნირებში მონაწილეობით მუდამ მოუცლელ ა. ებრალიძეს თითქმის არასოდეს უმუშავია მწვრთნელად. მხოლოდ 1942–1945 წლებში ხელმძღვანელობდა იგი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს. მის მოწაფეთა შორის იყვნენ შემდგომში ცნობილი მოჭადრაკეები— მსოფლიოს ექსჩემპიონი, დიდოსტატი ტ. პეტროსიანი და ოსტატი ა. ბუსლაევი.

ტ. პეტროსიანი პატივისცემით და მადლიერების გრძნობით იხსენებს ა. ებრალიძის ამაგს. სწორედ მან მაზიარა პოზიციური თამაშის საიდუმლოებას, შემაყვარა ხ. კაპაბლანკას შემოქმედება და გარკვეული როლი შეასრულა ჩემი საჭადრაკო სტილის ჩამოყალიბებაშიო, თქვა ტ. პეტროსიანმა 1963 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

დიდი ღვაწლი დასდო ა. ებრალიძემ ქართული საჭადრაკო ლიტერატურის შექმნის საქმეს. მას კალამი უჭრიდა. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, წერდა სტატიებს, პარტიების კომენტარებს. ბევრი დრო მოახმარა ჭადრაკის კორიფეთა შრომების ქართულად ამეტყველებას. —თარგმნა რამდენიმე სახელმძღვანელო. 1940 წელს გამოსცა მ. ეივეს „საჭადრაკო ლექციების კურსი“, რომელიც 1948 წელს მეორედ დაისტამბა. იმავე, 1948 წელს დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი ე. ლასკერის „ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო“, რომელიც ოთხი წლის შემდეგ განმეორებით გამოვიდა. ასევე ორჯერ (1952, 1956 წწ) გამოსცა ხ. კაპაბლანკას „ჭადრაკის თამაში“. 1959 წელს ა. ებრალიძემ თარგმნა ი. ავერბახის წიგნი „როგორ ამოვხსნათ საჭადრაკო ეტიუდები“.

ამ წიგნებმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ჭადრაკის პოპულარობას. ურიგო როდი იქნება თუ ხელმეორედ გამოიცემა ისინი. ამ სახელმძღვანელოებს დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება.

არჩილ ებრალიძეს უფრო მეტის გაკეთება შეეძლო ქართული ჭადრაკისთვის, მაგრამ იმას, რაც მოასწრო, მუდამ კეთილად, მადლობის გრძნობით გაიხსენებს შთამომავლობა.

თ. გიორგაძე.

* * *

ЭБРАЛИДЗЕ
В. МАКАГОНОВ

სურათზე: ა. ებრალიძის (მარცხნივ) შეხვედრა ბაქოელ ოსტატ ვ. მაკოგონოვთან (თბილისი, 1933 წ.).

ორი ყაიმი

ტალინში გრძელდება სსრ კავშირის I ლიგის ვაჟთა 51-ე ჩემპიონატი. გაიმართა IX ტური და შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

IX ტურში ე. უბილავამ გადადო პარტია მ. პოდგაეცთან (ოდესა). გადადებული პარტიების დამთავრების დღეს მან ეს პარტია და VII ტურის პარტიაც მოსკოველ დიდოსტატ ი. ბალაშოვთან ყაიმით დაამთავრა.

ორი პარტია მოიგო დიდოსტატმა ი. დორფანმა (ლვოვი) — ს. მაკარიჩევთან (მოსკოვი) და ა. პეტრუშინთან (დონის როსტოვი) და 6,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

უბილავას 4,5 (+1—1=7) ქულა აქვს.

პანორამა

● ძალოსნობა

ლენინგრადში გრძელდება ძალოსანთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასისა და ცალკეულ ვარჯიშებში ოქროს მედლების მოსაპოვებლად.

56 კგ წონითი კატეგორიის ათლეტებში თასს დაეუფლა არმიელი ო. კარაიანიდი — 252,5 კგ. II ადგილზე გავიდა ვ. ბოგუცკი („ტრუდი“) — 250, III—ა. სენშინი (შეიარაღებული ძალები) — 247,5 კგ. ატაცში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა კარაიანიდიმ — 115 კგ. ხოლო აკვრაში სენშინმა — 140 კგ.

60 კგ წონის ათლეტებში პირველი იყო მ. სედაევი („ტრუდი“) — 295 კგ, II ადგილზეა დინამოელი უ. ედელხანოვი — 285, III — ვ. ზახაროვი („ტრუდი“) — 280 კგ. ატაცში ყველას აჯობა სედაევმა—132,5 კგ. მასვე გადაეცა ოქროს მედალი აკვრაში — 162,5 კგ.

67,5 კგ წონის ათლეტებში ყველას აჯობა 22 წლის არმიელმა ვ. გრაჩოვმა. მან დამატებით ცდაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში (155 კგ). რა თქმა უნდა, ჩემპიონის ოქროს მედალიც ამ ვარჯიშში მას დარჩა — 152,5 კგ. ორჭიდში მისი შედეგია 335 კგ, რაც მისსავე საკავშირო რეკორდზე 2,5 კგ-ით უკეთესია. გრაჩოვმა ოქროს მედალი მოიპოვა აკვრაშიც — 182,5 კგ. ორჭიდში II ადგილზე გავიდა ლიპეცკელი ს. კუზნეცოვი, რომელიც გამარჯვებულს 10 კგ-ით ჩამორჩა, III ტომსკელი ი. ამპლეევი — 320 კგ.

75 კგ წონის ძალოსნებში პირველი იყო უფელი ვ. დურნევი — 360 კგ. მან 5 კგ-ით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ დნეპროპეტროვსკელ ი. სავინს, მესამე ადგილზეა კუსტანაიელი ს. ტოვბულატოვი — 347,5 კგ. დურნევს დარჩა ოქროს მედლები ატაცშიც (162,5 კგ) და აკვრაშიც (197,5 კგ).

● ფარიკაობა.

ტაშკენტი. 15 დეკემბერს უზბეკეთის დედაქალაქში საკავშირო თასისთვის ბრძოლაში ჩაებნენ მოფარიკავეები. ასეთ წარმომადგენლობით ტურნირს ტაშკენტი პირველად მასპინძლობს. ბევრი სტუმრისთვის სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ სპეციალიზებული საფარიკაო დარბაზი, რომელიც მთავარი სარბიელის „პახტაკორის“ სტადიონის გვერდით აიგო, მაღალი, ნათელი, ვრცელი (900 კვადრატული მეტრი) დარბაზი ძალიან მოეწონათ სპორტსმენებსაც, მწვრთნელებსაც და მსაჯებსაც.

ფინალური შეხვედრები კი რკინიგზელთა კულტურის სასახლის სცენარე გაიმართება.

საკავშირო თასის წლევანდელმა, რიგით XXV გათამაშებამ თავი მოუყარა როგორც პერსპექტიულ, ისე სახელოვან სპორტსმენებს. მათ შორის არიან ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები: ვ. კროვოპუსკოვი, ნ. გილიაზოვა, ვ. სიდოროვა, მ. ბურცევი, ს. რუზიევი და სხვ.

საკდესი.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

1988 წლის 19 დეკემბერს, პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში (ა. წერეთლის გამზირი № 95 ა) გაიმართება „განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭოს

III — პლენუმი

დასაწყისი 16 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 15 საათიდან.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სა-
გაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. ზ0. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07992